

## როდესაც სოფლის მეურნეობის მინისტრი საუბრობს ბაყაყების ექსპორტზე ან ნიანგების ფერმაზე ეკონომიკის განვითარების იმედი გვეკარგება

გაზეთი „საერთო გაზეთი“ – 9-15 თებერვალი, № 5, 2011.

ინფლაციის გაღრმავებამ, რა უკიდურესი შედეგები შეიძლება მოუტანოს ქვეყანას, გვაქვს თუ არა ეკონომიკური განვითარების ახალი პროგრამა, რომელიც გამოიყვანს საქართველოს დღევანდელი მძიმე მდგომარეობიდან, ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით ეკონომიკის ექსპერტს, ბატონ ლადო პაპავას.

– ბატონო ლადო ინფლაცია მარტო ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი პროცესი არ არის, მან ბევრი განვითარებული ქვეყანა მოიცვა, რა არის ამის მთავარი მიზეზი?

– ინფლაციის თემა დაკავშირებულია საქონლის ორ ჯგუფთან, პირველი არის კვების პროდუქტები, მეორე კი გახლავთ ნავთობი.

ნავთობზე ფასები გაიზარდა და ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა, რადგანაც ეკონომიკური კრიზისის მწვავე სტადიის შემდეგ მთელ რიგ ქვეყანაში ეკონომიკა კვლავ ამუშავდა და მოთხოვნა გაიზარდა ნავთობსა და გაზეთზე, და, შესაბამისად, ფასიც გაიზარდა. რაც შეეხება კვების პროდუქტებს, აქ ფასის ზრდა ძირითადად ცუდმა კლიმატურმა პირობებმა გამოიწვია. რუსეთში იყო დიდი და ხანგრძლივი ხანძარი, რის შედეგადაც პრაქტიკულად დაიწვა ხორბლის დიდი მოსავალი, ავსტრალიის წყალდიდობებმა კი შაქრის ნედლეული გაანადგურა და ეს დღეს უკვე მის ფასზე აისახა. ბუნებრივმა პირობებმა პროდუქციის რაოდენობა შეამცირა. ცხადია, როდესაც რომელიმე პროდუქტის მიწოდება მცირდება, მასზე ფასი იმატებს.

ყველაფერი ეს კი საქართველოზე ყველაზე მწვავედ აისახა იმიტომ, რომ ჩვენ სამომხმარებლო კალათაში ოთხმოცი პროცენტი არის

იმპორტული საქონელი. გაძვირებული იმპორტული საქონელი კი იმპორტიორებს ძვირად შემოაქვთ.

ასეთი ტიპის ინფლაციას ეკონომისტები ეძახიან დანახარჯების ზრდით გამოწვეულ ინფლაციას. ამისი ახნა მარტივად შეიძლება იმპორტიორს ეზრდება დანახარჯი, ამიტომ ის ცდილობს ფასი გაზარდოს, თუ ბაზარმა მიიღო გაზრდილი ფასი, ის რჩება ბაზარზე, მაგრამ თუ ბაზარმა გაზრდილი ფასი არ მიიღო, ის ამ პროდუქტის იმპორტს შეწყვეტს, მიწოდებას შეამცირებს, რის ხარჯზეც ფასი გაიზრდება, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში ფასი იმატებს.

თუმცა, არის ისეთი პროდუქტებიც, რომელზედაც ფასი რაც არ უნდა გაიზარდოს, მასზე მოთხოვნა არ შემცირდება. ასეთი არის მაგალითად პური, რომელიც კვების ძირითადი პროდუქტია და რომლის მასობრივი მომხმარებელი ყველაზე უფრო შეჭირვებული მოსახლეობაა. მას ვერანაირი პროდუქტი ვერ ჩაენაცვლება. ეს არის ის მექანიზმი, რომელიც ახსნის გარე ფაქტორებით გამოწვეულ ინფლაციას.

არის ქვეყნები, სადაც ეს ფაქტორები ნაკლები სიმწავით იგრძნობა, ზოგან კი პირიქით, მეტი სიმძაფრით.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე მაღალი ინფლაცია 2010 წელს დაფიქსირდა ყირგიზეთში, სადაც საკმაოდ დიდი ხნის პერიოდში იყო სამოქალაქო დაპირისპირება, რამაც ასახვა ჰპოვა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შემდეგი ქვეყანა რომელიც ასევე მაღალი ინფლაციით გამოირჩევა, არის საქართველო. ამიტომ, მარტო გარე ფაქტორებით ამის ახსნა არ არის მართალი. კავკასია რომ ავიღოთ, ჩვენთან თუ წლიური ინფლაცია 2010 წელს 11,2 პროცენტი იყო, სომხეთში 9,5 პროცენტი იყო, აზერბაიჯანში კი – 5,7 პროცენტი. ვხედავთ, რომ ყველაზე მაღალი იყო ჩვენთან. აქედან ჩანს, რომ ჩვენთან არის კიდევ სხვა რაღაც, რაც პრობლემას ქმნის, ანუ შიგა ფაქტორები. შიგა ფაქტორები კი დამოკიდებულია შემდეგზე. 2010 წლის პირველ ნახევარში ეროვნულ ბანკს არ ჰქონდა სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. კერძოდ, ადგილობრივი არჩევნების წინა პერიოდში ცდილობდნენ, რომ დოლარის გაცვლითი კურსი არ გასცდენოდა 1,8-ის ნიშნულს. ხოლო არჩევნების შემდეგ კი მყისიერად დააგდეს ლარის კურსი. ასეთი „თამაშები“ სავალუტო ბაზარს პრაქტიკულად აზიანებს და შემდეგ ინფლაციაზეც ჰპოვებს ასახვას, მაგრამ

წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ეროვნულმა ბანკმა აირჩია სწორი კურსი. ამიტომ მოცემულ ეტაპზე მის ქმედებაში მე პრობლემას ვერ ვხედავ. ის მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს იყენებს იმისათვის, რომ ინფლაცია არ იყოს უფრო მაღალი, ვიდრე არის. შეუძლია, რომ კიდევ უფრო გაამკაცროს თავისი ქმედებები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეიძლება მთელი ეკონომიკა ჩამოიქცეს, თორემ შეუძლია ისე გააძვირონ ფული, რომ საპროცენტო განაკვეთმა ასტრონომიულ ციფრს მიაღწიოს, ასეთ დროს კი სესხს ვერაფერს ვეღარ აიღებს და კომერციული ბანკი, როგორც ასეთი, ვერ იარსებებს, თუ სესხს ვერ გასცემს. უფრო მკაცრი პოლიტიკა პრობლემას შეუქმნის როგორც საბანკო სისტემას, ისე მთელ ეკონომიკას.

არის მეორე პრობლემა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი პოლიტიკა.

აქ კი ვერაფრითარ კრიტიკას ვერ უძლებს ჩვენი მთავრობის ქმედება, იმიტომ, რომ ის თავისი პროექტებით ინფლაციის ხელშემწყობი არის. მე აქ გამოვყოფდი ორ ჯგუფს. ერთი უშუალოდ არის დაკავშირებული საბიჯეტო პოლიტიკასთან და მეორე ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

საბიუჯეტო პოლიტიკის თვალსაზრისით მცდარი არის, როდესაც ე.წ. „სხვა ხარჯები“ აღწევს 12 პროცენტს, ეს ხარჯები 2011 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არის 800 მილიონი ლარი! „სხვა ხარჯები“ წესით, არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 5 პროცენტს. ანუ ამ 800 მილიონი ლარიდან სულ ცოტა 500 მილიონი ლარი არის გაბერილი ხარჯი, რომელიც არ ვიცით რაში დაიხარჯება, ანუ ეს არის შეცდომა! ამასვე ემატება ისეთი ხარჯები, რომელიც აბსოლუტურად უაზროა, უადგილოა. ეს გაუთავებელი კონცერტები, ძეგლების დადგმა... ძეგლების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ როცა ქვეყანას უჭირს, ასეთ რამეებში ფული არ უნდა დაიხარჯოს.

ძალიან შემაშფოთებელია, ასევე, მეორე დედაქალაქის შექმნა ქუთაისში. საქართველო იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ თბილისიდან იოლად შეიძლება მთელი ტერიტორიის გაკონტროლება. ამიტომ ასეულობით მილიონი თანხის დახარჯვა პარლამენტის მეორე შენობისა და მთავრობის მეორე რეზიდენციის ასაშენებლად დაუშვებელია. ეს არის

ხარჯები, რომელიც რეალურ ეკონომიკურ შედეგს არ იძლევა, ანუ ინფლაციური ხარჯებია.

– **რა აზრი აქვს საერთოდ პარლამენტის ქუთაისში გადატანას?**

– მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს, ასეთი პარლამენტი შეიძლება იყოს მხოლოდ დაკნინებული. მარტივ მაგალითს გეტყვით. ქვეყნის ისტორიული განვითარებით ასე თუ ისე ჩამოყალიბდა ე.წ. ინტელექტუალური ძალა, რომელიც უფრო თბილისშია თავმოყილი. ასეთ შემთხვევაში კი პარლამენტის ქუთაისში გადატანა დააკარგინებს სურვილს საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილს, რომ საპარლამენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ეს არის ჩანაფიქრი, რომ ახალ პარლამენტს, რომელსაც საკმაოდ დიდი კონსტიტუციური ძალა მიეცემა, მასში თავმოყრილი იყოს შედარებით დაბალინტელექტიანი და ამდენად უფრო ადვილად მართვადი ხალხი, და ბიზნესმენები, რომლებიც არიან თავისი ბიზნესის „ქოლგები“, ამიტომ ისინი ყველაფერს წინააღმდეგობის გარეშე გააკეთებენ. მე ქუთაისს არ ვაკნინებ, მაგრამ ისტორიულად ასე იყო, რომ თბილისში იყო თავმოყრილი უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა, სამეცნიერო კერები, ხელოვნება, კულტურა და სხვ.

– **ინფრასტრუქტურებისათვის გაწეულ ხარჯებზე რას იტყვით?**

– ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხარჯების გაწევა აუცილებელია ყველა ქვეყნისათვის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ, მაგალითად, გზების დაგება ეკონომიკურ ეფექტს იძლევა გრძელვადიან პერიოდში, ხოლო მოკლევადიან პერიოდში ის არის მხოლოდ ინფლაციური დანახარჯი. ამიტომ გზებთან მიმართებაში მე პრობლემას ვერ ვხედავ, უბრალოდ უნდა გვახსოვდეს რომ მოკლევადიან პერიოდში ის მხოლოდ ხარჯია და ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხშირ შემთხვევაში ის არის უხარისხოდ დაგებული და ხელახალ შეკეთებას საჭიროებს. ერთი და იგივე გზას რამოდენიმეჯერ რომ დააგებ, ეს უკვე დანაშაულია.

– **რაც შეეხება ეკონომიკურ პოლიტიკას, ამაზე რას იტყვით?**

– რაც შეეხება ეკონომიკურ პოლიტიკას, ის ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მთავრობამ თქვა, რომ მისი პრიორიტეტია სამი დარგი. ეს არის ინფრასტრუქტურა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. პირველზე უკვე ვისაუბრეთ, რაც შეეხება ტურიზმის განვითარებას, თუნდაც ინფლაციური კუთხიდან რომ შევხედოთ, არის მცდარი იმიტომ, რომ დღეს რა

პროდუქციაც იწარმოება საქართველოში მისი ძირითადი მომხარებელი ვართ ჩვენ, ადგილობრივები. ტურისტი რომ ჩამოვა მოთხოვნა ხომ გაიზრდება, მიწოდების შემთხვევაში ფასი ხომ გაიზრდება. ამიტომ ყოველი ჩამოსული ტურისტი იქება იმისი წყარო, რომ ფასები გაზარდოს ქვეყანაში და ხელი შეუწყოს მოთხოვნის ზრდით ინფლაციის ზრდას. ტურისტი რომ ჩამოდის ჩამოაქვს ვალუტა, დოლარი, მაგრამ უნდა დახარჯოს ლარი, ამიტომ ის ყიდულობს მას, ამით ქვეყანაში დოლარის მასა იზრდება, ლარი მყადება. ლარის გამყარება ცუდია ექსპორტისათვის. ეს რომ ასე არ მოხდეს ეროვნული ბანკი იძულებულია ეს გაყიდული დოლარები ამოიღოს და იყიდოს ლარებით; ამით კი მიმოქცევაში ლარის მასა იზრდება, ანუ ხელი ეწყობა ინფლაციას. უნდა გვახსოვდეს, რომ ტურიზმი არის ეკონომიკის ინფლაციური დარგი მისი განვითარებისათვის.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, საქართველოს აქვს ამ დარგის განვითარების პერსპექტივა, მაგრამ პატრონი არ ჰყავს ქვეყანაში! როდესაც სოფლის მეურნეობის მინისტრი ლაპარაკობს ბაყაყების ექსპორტზე, ნიანგების ფერმაზე სამეგრელოში ან ბურების ჩამოყვანაზე – ასეთი არაკომპეტენტური და არაკვალიფიციური ხალხის გამო უკვე იმედიც გეკარგება ადამიანს, რომ ჩვენს სოფლის მეურნეობას ოდესმე რამე ეშველება.

ასეთივეა მიმდინარე გადაწყვეტილებებიც, რომელთაც მთავრობა გვთავაზობს. პრეზიდენტმა დეკემბერში დაავალა მთავრობას შეემუშავებინათ ორი კვირის ვადაში, ანტიინფლაციური პროგრამა. უკვე თებერვალია, თითქმის ორი თვე გავიდა, სამწუხაროდ, დღემდე არაფერი არ გაკეთებულა.

პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ მაღალი ინფლაცია ჩვენზე არ არის დამოკიდებული, გარე ფაქტორებით არის გამოწვეული – ამით მან გაამართლა მთავრობა. იმავდროულად მთავრობა გამოვიდა ინიციატივით, დარიგდეს 20 ლარიანი ვაუჩერები თითოეულ ოჯახზე, ელექტროენერჯის მოხმარების შეღავათისათვის. გარკვეული კუთხით ეს სოციალური პროექტი მართლაც არის, მაგრამ არის თუ არა ის ანტიინფლაციური? არა, ის არის ინფლაციური! სირცხვილით იმას მაინც ნუ იტყვიან რომ ეს ანტიინფლაციური პროგრამაა.

აქედან გამომდინარე, მე ეჭვი მეპარება ამ პროექტის ავტორთა პროფესიონალიზმში, მაგრამ შეიძლება აქ სხვა რამეც იყო ჩადებული, მე ამაზე პასუხი არ მაქვს.

მინდა ვთქვა, რომ ქვეყანა უნდა ვითარდებოდეს კომპლექსურად, მისი ყველა დარგი, რისი რესურსიც და პოტენციალიც არის საქართველოში.

სულ ახლახან შედგა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების პროგრამის პრეზენტაცია, რომლის ავტორები არიან ალექსანდრე თვალჭრელიძე და ავთანდილ სილაგაძე და მათი კოლეგები. ის არ არის რომელიმე პარტიის პროგრამა, ის არის რეალური დოკუმენტი, რომელიც ემყარება იმას, რისი პოტენციალიც გააჩნია ჩვენ ქვეყანას. ვფიქრობ, რომ ის უნდა გახდეს სახელმძღვანელო ჩვენი ხელისუფლებისთვის. ვიმეორებ, ეს აპოლიტიკური დოკუმენტია, საკმაოდ სერიოზული და ის უნდა გახდეს მსჯელობის საგანი.

**ეთერ კასრელიშვილი**